ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182432643**
თარიღი: **31/08/2018**
პინი: **6147**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 24 აგვისტოს #60-011823681 წერილი (AR1617781) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ირაკლი ბოჭორიშვილის მომართვის საფუძველზე, ქ. თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია/ქ. თბილისი, სოფ. დიღომი/ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია/ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია/ქ. თბილისი, დიდი დიღომი (ს.კ #01.72.14.014.888) არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე არსებული (20 ძირი მწვანე ნარგავი) და ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად გასაშენებელი ხე-მცენარეების რაოდენობა (5 ძირი ფიტოსპორუმი, 3 ძირი სამნაკვთა გრაკლა (ბუჩქი), 442,7კვ.მ გაზონი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (442,7 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. ამდენად, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფის ესკიზზე არ არის მითითებული გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი, პროექტის შეთანხმების თარიღად უნდა განისაზღვროს მშენებლობის ნებართვის გაცემის თარიღი (მშენებლობის ნებართვის აღებამდე, განმცხადებელს აღნიშნული გრაფის შევსება არ მოეთხოვება).

რაც შეეხება ხე-მცენარეების გადარგვის საკითხს გაცნობებთ, რომ გადარგვას მცენარისთვის შოკის ეფექტი აქვს, ტექნიკური პირობების გათვალისწინებით მათი ბუნებრივი გარემოდან ამოღება და ახალ ტერიტორიაზე გადატანა დაკავშირებულია ახალ გარემოსთან ადაპტაციასთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მათი სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტა. ასევე, მწვანე ქალაქის კონცეფციით მიზანშეწონილია შენობების მორგება/ინტეგრირება მწვანე ნარგავებთან და არა პირიქით, ამდენად, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების სრულად შენარჩუნების შემთხვევაში (მოჭრა-გადარგვის გარეშე).

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი